ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2/20.03.19/1

ქ. თბილისი **20 მარტი 2019 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ # 204525585 სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „კაპო“** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის მარლენ ხუცურაულის სახით, იურიდიული მისამართი ქ.თბილისი, დიღმის მასივი, მე-2 კვარტალი, კორპ.8, ბინა 39, ს/კ 432386811, ტელ: 551594442, სს "საქართველოს ბანკი" კოდი № BAGAGE22, ა/ა № : **ა/ა** GE72BG0000000101385272

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში მაცივარის შესყიდვა **(**39711130 - მაცივრები**)** შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 შესყიდვის ობიექტია:

- 1 (ცალი) ცალი მაცივარის შესყიდვა, **(მოდელი - MIDEA HS-130RN)** ერთეულის ღირებულებით **400.00** (ოთხასი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

საფუძველი : გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტი და ფინანსური დეპარტამენტის 2019 წლის 14 მარტის მოხსენებითი ბარათი N25450-21-02.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **400.00** (ოთხასი ლარი და 00 თეთრი) **ლარს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და გადასახადების ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1.მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1 საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მიწოდებული საქონელის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **3 (სამი)** სამუშაო დღის ვადაში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, აბზიანიძის ქ. №4.

4.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.
5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. № 16, სსიპ „შემოსავლების სამსახური“.
5.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. გარანტია

8.1. საქონელზე ვრცელდება გარანტია არანაკლებ 1 (ერთი) წელი. აღნიშნულ პერიოდში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დაზიანებული საქონლის შეკეთება ან შეცვლა, თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების

შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;
16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან''; ორი ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური”**	**„მიმწოდებელი“** **შპს “კაპო“**
_____	_____
გიორგი გომარელი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**მარლენ ხუცურაული** დირექტორი